

ინგა სანიკიძე

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

Inga.sanikidze@tsu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.53>

რამდენიმე პარალელი „ვეფხისტყაოსნის“ მეფეთა სახეების დისკურსში

საკვანძო სიტყვები: ვეფხისტყაოსანი, მეფეთა სახეები, პარალელიზმი, რუსთაველის მსოფლმხედველობა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ უძირითადესი გმირის, ტარიელის, შოთაობისა (ინგოროყვა, 1963: 207-208) თუ მასში წმ. გიორგის კულტის დანახვისა (გამსახურდია, 1991:183-186) ნაკლებ სარწმუნო კვლევის მიმართულება უნდა იყოს, გამომდინარე იქიდან, რომ ინდოეთის ამირბარი თუ ამავე ქვეყნის უფლისწული მტირალი ყმაა და, როგორც ჩანს, XII საუკუნეში მისი მოთქმა-ტირილისა თუ „ცრემლთა მიღების“ რეალური საფუძველი მართლაც არსებობდა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ რეალობის, კერძოდ, დემნა უფლისწულის სამეფო ტახტიდან ჩამოშორებითა და ქვეყანაში დატრიალებულ ტრაგედიაზე მინიშნებებით იხსნება პოემაში განვითარებული მხატვრული მოვლენები, მოვლენათა სინთეზით მოხატული რუსთაველური ტილო თუ სიმბოლურ-ენიგმური ინერპრეტაციები.

ახლა უფრო ახლოს საკითხთან – ინდოეთის ამბავს მთლიანობაში ტარიელის ნარატივიდან ვიგებთ. თხრობის პროცესი უკომენტაროდ მიემართება, ავთანდილს (ჩვენთან ერთად) მსმენელის ფუნქცია აქვს დაკისრებული, ხოლო ასმათს – რაინდის სულის ამ ქვეყნისკენ მოტრიალებისა („მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტა“: 101, 492). ნესტანის ყმა საკუთარი თვალთა ნანახს ხელმეორედ ისმენს ისე, რომ არც ერთხელ, თუნდაც გულწასული ტარიელის დანახვისას, სურვილი არ უჩნდება, რაიმე სახის რეპლიკა წამოიციდინოს, ემოციებს გამაოგნებლად თოკავს აღვირით (ასე ხდება ყველგან, სადაც ასმათი ჩნდება). გასაგებია, რომ ის რაინდების ურთიერთობაში ჩარევას არ აპირებს, მაგრამ ბოლომდე არც ასეა საქმე. პოემის იმ ეპიზოდში, როცა არაბეთიდან დაბრუნებული ავთანდილისაგან ტარიელის მიმართ გამოთქმული საყვედურებით დაიღლება („ქალსა ეტყვის: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა!“: 164, 835), „ბრძენთა საქებარი“ ქალი თავს ვეღარ შეიკავებს და სპასპეტის დასაშოშმინებლად ბრძნადმოუბარობას მიმართავს, ე.ი. ცხადია, რომ ასმათს რაინდისათვის რჩევების მიცემა კადნიერება არა ჰგონია, ტარიელის თხრობისას კი საეჭვოდ არ ამბობს არაფერს; იქნებდა იმიტომ, რომ „ცნობიერთა დასტაქარმან“ მთხრობელის ის „სისუსტე“ თუ „შეცდომები“ დაინახოს ნათლად, რომლებმაც იგი ამ დღეში ჩააგდო. ავთანდილი „მაჯისაცა შემტყვევბარი“, „აქიმი“ რაინდია, იმიტომ ახლა ის შევა შეცდომაში, თუკი სწეულების ყველა სიმპტომს არ გაითვალისწინებს. კლინიკური სურათის წაშლა ასმათის მხრიდან არასწორი ქმედება იქნება. ჩარევა არ ღირს... არაბი მოყმე კი ისმენს, ისმენს და ხარშავს. ისიც ასმათივით დუმილს არის მიცემული,

აზრებს აბორიალებს გონებაში (უბრალოდ, ამ პროცესს პოემაში ვერ ვხედავთ ან რა საჭიროა?!), სამკურნალო რეცეპტისა თუ სწორი გამოსავლის მოსაძიებლად ეძებდა... და რას ისმენს? არ ვიცით, რა დავარქვავთ ტარიელის თბრობაში გამოკვეთილ ანაბეჭდს – მისივე გულუბრყვილობა თუ სულგრძელობა. მართლაც შესაძლებელია სულის სიგრძეა მიზეზი იმისა, რომ პირდაპირ სჯერა მამობილ-დედობილის, ერთხელაც არ შეაქვს ეჭვი მათ ფარისევლობაში, ვიდრე ფაქტის წინაშე არ დგება. ბოროტება ისე თუხთუხებს რაინდის უკან, რომ ის თავსაც არ აბრუნებს მისკენ. ვერაგობის დანახვა ან არ სურს, ან მისი კეთილგონიერება და ფაქიზი სული ცამდე აზიდული ხელთუქმნი ციხესავით აფარებია ავ საქმეებს. ის, ბოროტი, გარე სამყაროა და სამეფო დარბაზში აკვარცხლბეკებული, სამეფო ხელისუფლებას ჩაბლაუჭებული ვერაგ გეგმებს აწყობს. ცხადია, რომ კეთილშობილებისა და სულგრძელობის უწყვეტი ჯაჭვი გასდევს ინდოთ უფლისწულის მიერ გადმოცემულ ამბავთა წყებას. მარტივი შესამჩნევია, როგორი ბავშვური გულუბრყვილობით უცქერის ჯერ კიდევ ხუთ წლამდე ტარიელი დედოფლის „მზის დარობას“ („მე არ ესვა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა“: 84, 313), ქალის დაბადების შემდეგ კი ჰგონია, რომ ისიც ნესტანივით უყვართ და მის თანასწორად აღიარებენ („ვუყვარდით და სწორად ვუჩნდით მეფესა და დედოფალსა“ 85, 318). თხუთმეტი წლის „ძალად ლომი“ და „თვალად მზე“ უფლისწული ისარტო ტყორცნისა თუ ცხენბურთის („მერმე ვიბურთი მოედანს“) სამხედრო ვარჯიშობებით ისეა გატაცებული, რომ ვერ ათვითცნობიერებს ჩასაფრებული ავმოქმედების ძლიერებას. ისე, ან კი როგორ უნდა მიუხვდეს ლხინს ჩვეული („ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“) მოზარდი ფარსადანს საქმეთა სიმრუდეს. მან ხომ იმთავითვე დაიჯერა მეფე-დედოფლის შვილობა და ისიც, რომ ინდოეთის საპატრონოდ იზრდებოდა („საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“: 84, 314). შემდეგ ტარიელის ყმაწვილკაცობის ერთი წელი საკუთარი მამის გლოვაში გადის („მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა, ვიშისა“: 66, 327) და „საწუთრო-გაცუდებული“ ბნელში ზის. გასაგებია, რომ რუსთველის ქრონომეტრაჟი მხატვრულია და პირობითი, მაგრამ ამ პირობითობასაც თავისი საფუძველი აქვს. რაღაც კონკრეტული პერიოდი დროისა ინდოელმა რაინდმა არაფერი უნდა იცოდეს. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს რუსთველის სათქმელიც. ბავშვური და მიაშიტური ცნობიერებიდან ზრდასრულის ცნობიერებაში გადაყვარტ მოაზროვნეს, გარდატეხა სწორედ ეს პირობითი ერთი წელიწადი მოჩანს. აშკარაა, რომ ახალ ეტაპზე გადავდივართ, ჩამოყალიბებული ადამიანის ფხიზელი გონიერების ეტაპზე, როცა გული, ცნობიერება და ყველაფრის მზომველი ჭკუა-გონება ერთმანეთს უნდა შეეფარდოს, თანაზომიერი გახდეს („გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“: 168, 838), თორემ კატასტროფა გარდაუვალი იქნება. არადა რას ვხედავთ?! სავარაუდოდ, ფარსადანის ფარისევლობისა და, ზოგადად, ბოროტების პირველ გამჟღავნებულ ნაბიჯს – მის ბრძანებას, ტარიელმა შავი გაიხადოს („ებრძანა ახდა შავისა“) და სამეფოდ აღზრდილი უფლისწული ამირბარად დაინიშნოს, ანუ მან სამეფო ხელისუფლების სამხედრო ინსტიტუცია განკარგოს მხოლოდ („ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა“: 66, 329). გლოვის [მხოლოდ გლოვის?] ბნელიდან „გამოსვლისათვის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფლობელთა“ (67, 330). ასეთი „წინდახედული“ ნაბიჯით ფარსადანი მოგებულია. ის ზეიმობს, ხოლო უფლისწული დამარცხებული გამოიყურება. სად მომავალი მონარქის ძალაუფლების მასშტაბი და სად ამირბარობა, ანუ ხელისუფლების თუნდაც ერთი ძალოვანი სტრუქტურა, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის ქვეყნის მართვისას?! ჩანს, რომ ტარიელი თავიდან ინდოთ მეფის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. გონება უკეთ

მუშაობს, ზრდასრულობამ თავისი ქნა, თავზარდაცე-მულია ასეთი გადაწყვეტილებით, ამიტომ „მისეულ წესთა“ დამორჩილება არ სურს, ეურჩება, ჭკუით ზომავს. იცის, რომ ისეთ ხნარცვში აგდებენ, საიდან ამოსვლაც ძალიან გაჭირდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ტარიელის სიტყვები:

„მათ საჯდომსა ახლოს დამსვეს, პატივს მცემდეს მისა დარად,
მის ხელისა საურავი მათ ორთავე მითხრეს წყნარად;
ურჩ ვექმენ და მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა ზარად.
არ მომეშვნენ, დავმორჩილდი, თაყვანის-მცეს ამირზარად“ (87, 331).

მეფე-დედოფალი წყნარად და აუმიღვრევლად მოქმედებს. ტარიელი ფარსადანის მიერ რაღაც წესთა დარღვევას ჩივის (რა თქმა უნდა, უპირველესად მემკვიდრეობის ფეოდალური წესი ირღვევა), მისეულად აწყობს სამართალს, სუბიექტურ სურვილებსაა აყოლილი და თვითნებობს. განგაშის პირველმა ზარმა ჩამოჰკრა („მიჩნდა ზარად“), მაგრამ „ოჯახური“ თუ „მშობლური“ „სითბო“, დარიგება თუ ფარსი თავისას აკეთებს. არ ეშვებიან ტარიელს და ისიც ემორჩილება მათს გადაწყვეტილებას. მტირალი ყმის პირველი მძიმე შეცდომა სახეზეა. გაამირბარებულს სამეფო ტახტზე პრეტენზია ვეღარ ექნება. ის ხელისუფლების იერარქიაში ერთი საფეხურით უკვე დააქვეითეს (შდრ. დემნა უფლისწულს ცოლად ამირსპასალარის, იოანე ორბელის, ქალიშვილი შერთეს). ჩანს, რომ ტარიელი გადადგმულ ნაბიჯს მონოლოგის მომენტში ძლიერ ნანობს, თავს იმით იმართლებს, რომ მას შემდეგ ხანგრძლივი დროა გასული, ანუ დაშვებულ შეცდომას თავის ახალგაზრდობასა და „ცრუ და მუხთალი“ წუთისოფლის ავ ბუნებას მიაწერს. იცის, რომ ბოროტების ეს ნაპერწკალ-წინწალი მას ავთანდილთან თხრობის პროცესშიც წვავს. ათვითცნობიერებს, რომ გადადგმული ნაბიჯი საბედისწერო იყო. ჩვენმა განსჯამ რწმუნებულება რომ შეიძინოს, ტარიელს უნდა მოვუსმინოთ:

„ადარა ვიცი, დამვიწყდეს, თუცა დიადი წელია;
გიაბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვი ავისა მქმნელია,
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწველია“ (67, 332).

ცხადია, პოსტფაქტუმ რთული აღარაა მოვლენათა მართებული შეფასება, ურემი გადაბრუნებულია. ავთანდილი დაკვირვებული თუ ხილული გონებით ისმენს ინდოელი რაინდის მონათხრობს. ალბათ, შეცდომის ზეგანს ყოველმხრივ ავლებს თვალს (შდრ. ტარიელმა – „თვალნი მოარნა ყოველგნით“). სულ მცირე საბრძოლო ხელოვნება მოითხოვს იმას, რომ მტერი გაიზომოს. ისიც სპასპეტია და სამხედრო მოქმედების ეს მარტივი საფუძველი არ ესწავლება (ბოლოს და ბოლოს თავადაც ხომ დაახლოებით იგივე პრობლემა აქვს¹). არაბეთის სპასპეტმა ამოცანა შეიძლება სწორედ ამ მომენტში ამოხსნა, გაერკვა, თუ

¹ არაერთგან ვიტყვით, რომ ინდოეთისა და არაბეთის ამბებში არცთუ ცოტაა ისეთი ადგილი, რომლებიც ამ ამბავთა პერპენდიკულარული მაგისტრალების გადაკვეთისას სასიგნალო წერტილებს იძლევა. ერთ-ერთ ასეთად არაბეთის ნაწილში ავთანდილის გაუჩინარების ამბავი მოჩანს. შეიძლება ახსნას ექვემდებარება როსტევანის „სულთქმით“ ტირილი სპასპეტის მეორედ წასვლის გამო, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ პასაჟის ზედაპირული გააზრების შემთხვევაში მაინც აუხსნელი რჩება როსტევანის ბრძანება: „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი“. არაბეთის სამეფოს სპა სამგლოვიარო, მუქი ფერებით იმოსება და რატომ? ზნეობრივი პრინციპებით გამართულ უხინჯო გზაზე მიმავალი ტანმრთელი რაინდის არაპირდაპირი გლოვის გამოცხადება ტრადიციულ გააზრებასაც სცდება და ნაზარდი ყმის მიმართ („ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“ 19, 63) კეთილმოსურნე განწყობებსაც. როსტევანი ამგვარი საქციელით ერთ ქართულ ანდაზას მოგვაგონებს: „მელას რაც ელანდებოდა, ის

რატომ არ ისურვა ტარიელმა არაბთა მონარქთან შეხვედრა და „ხმალ-კაპარჭ“ მომარჯვებული გადაიკარგა¹ უკვალოდ. მეფის დანახვაც კი აღიზიანებს უფლისწულს, მისი არც სამართლისა სჯერა და არც – მოწყალებისა². ხელისუფალთა იმიჯი ხშირად ჭრელაჭრულა ლანდია („მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი“: 14, 32), მასებისთვის შექმნილი, თორემ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში კონკურენტის გადაკიდება თუ მისი ძირფესვიანად აღმოფხვრა მოხდენილად ეხერხებოდათ ყოველთვის. ტარიელი მეფეთა ბუნებასაც კარგად იცნობს და მათ ქცევებსაც, ამიტომ გამოქვამულში დაბრუნებული გარკვევით ეუბნება ნესტანის ყმას – „მონადირე მეფე ვინმე გარდმეკიდა“-ო (55, 267). არაბი მონარქი თავისი ლაშქრით გაგულისებულ-გაამაყებული მოქმედებს („მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა“: 27, 94) და იქნებ იმიტომ, რომ მარგალიტასხმულ „ლაგამ-აბჯარ-უნაგირში“ გამოწყობილ „ლომში“ უფლისწულის ამოცნობა არ უჭირს, მისი ვერშეპყრობის შემდეგ კი ღვთის წყალობის ნაკლებობასა და სიცოცხლის გამწარებას უჩივის („ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამეძწარნეს“ 29, 111), თავს კი სიკვდილამდე დაწყლულებულს უწოდებს („სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება“ 27, 98). როსტევანის მიერ საკუთარი ქალიშვილისათვის უცხო ყმის წაკიდების გაცხადებული მიზეზები რამდენადმე სარწმუნო შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს, თუკი საქმეს ემპირიაში შევხედავთ. თორმეტმონადახოცილი როსტევანი თინათინს ეტყვის:

„რა უმძიმდა არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე;

ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე“ (29, 108).

თინათინთან საუბრისას იკვეთება, რომ არაბეთის „ყოფილ“, თუმცა ფაქტობრივ მმართველს ეგოში ჩასახლებული ამბიციების დათრგუნვა უჭირს („**მე რა მნახა**, ცხენსა შეჯდა... 29, 109), ხვდება, რომ უცხო მოყმე სწორედ მის გამო განერიდა იქაურობას. როსტევანის აზრით, კაცური შეხვედრა-გადაკოცნის უგულებელყოფა („არ კაცურად გარდამკოცნა“ 29, 109) კიდეც ერთი საფუძველი აღმოჩნდა იმისა, რომ ჯერ თორმეტი მონისათვის ებრძანებინა, გაჭირვებაში ჩავარდნილი რაინდის შეპყრობა და შემდეგ მდეგრის რანგში წინ გაძლოლოდა საკუთარ ლაშქარს. არადა მეფესთან შეხვედრის უკადრისობა არაფერ შუაში რომ არ არის, თავადაც კარგად უნდა აცნობიერებდეს. ტარიელის მხრიდან ასეთი მოქმედება მონარქთან არშეხვედრის სურვილით რომ არის მოტივირებული, ცალსახაა. ინდოთ რაინდის არგუმენტი რადიკალურად განსხვავდება როსტევანის შეფასებებისაგან. ქვაბში მობრუნებული ტარიელი ასმათს ეტყვის: „არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე“ (55, 268). რა საკუთარი თავის შეწყალებაზე საუბრობს

ესიზმრებოდაო“. ფაქტია, რომ ვითომდა ტახტიდან გადამდგარი არაბთა მეფის ერთ სტროფში თავმოყრილი ბრძანებანი – ავთანდილისათვის ლოცვა („შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი! 161, 820) და გლოვა – ერთმანეთს მკვეთრად ეწინააღმდეგება და დაფიქრებას უცილობლად მოითხოვს.

¹ გადაკარგვის ოსტატობის თვალსაზრისით საინტერესო პარალელი შეიმჩნევა არაბეთის ამბავშიც. წელზე ოქროშემორტყმული არაბი სპასპეტი უცხო მოყმის ძიების გზას ადგება, ლაშქარს განაპირებული ავთანდილი გასაოცარი სიმარდით უჩინარდება, მორბენალი ლაშქარი კი მას ვეღარ იპოვის („დარბოდეს და სხვაგნით სხვათა მოამბეთა მოასხმიდეს, / ვეღარა ცნეს მისი საქმე...“ 39, 172).

² ამ საკითხთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს იუს. აბულაძეს. მეცნიერი ფიქრობს, რომ პოემაში „გაღმერთებულია მეფის პიროვნება, რაც სრულებით ბუნებრივია და მოსალოდნელი კლასიკური ეპოქის პოეტ-მოქალაქისაგან“ (აბულაძე, 1967: 47). მისი შეხედულებითვე, ტარიელი მხოლოდ იმიტომ განერიდება არაბთა მეფეს, რომ მისი „რიდი და კრძალვა“ აქვს.

შავთაიჭოსანი ყმა, თუკი ის მეფისგან საფრთხესა და დაუნდობლობას ვერ ხედავს?! ტარიელთან პირველი შეხვედრისას ავთანდილიც თითქოსდა ბოდიშს უხდის ახალგაგონილ მეგობარს, როცა მისი გადაკარგვის შემდგომ არაბეთის სამეფო კარზე შექმნილ სიტუაციას აღწერს. უამბობს, თუ როგორ შეექმნა ჭმუნვა საკუთრივ როსტევანს, ხოლო „თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერია“ (58, 286). მეფის თავისუფლება-ნებიერობით (სხვაგვარად – შეუზღუდავი მოქმედებით) აუხსნა ავთანდილმა ტარიელს, ჩვენი აზრით, სრულიად დაუმსახურებელი და უსამართლო დევნა.

როსტევანის თინათინთან საუბრისას გამოთქმულ არგუმენტებს, ვფიქრობთ, რომ დამაჯერებლობა აკლია. ამიტომ კითხვას ასე დავსვამთ – გამოხატა კი თავად როსტევანმა პატივისცემა მარგალიტასხმული რაინდის [/უფლისწულის] მიმართ, რომ ტარიელსაც იმავე პატივისცემით ეპასუხა?! პოემის სხვა პასაჟში ასე ხომ არ ხდება?! მაგალითად, ტარიელი თავად ეახლება „ზღვის პირ-პირ“ მორბენალ, წყლულატკივებულ მულაზანზარის მეფეს („ფიცხლა შევჯე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩავე წინა“:121,587). პოემის ამ ადგილას რანგობრივი თანასწო-რუფლებიანობა თუ ფეოდალურად გამართული საფეხურეობრივი სამართლიანობა დაცულია, რასაც როსტევანისა და უცხო მოყმის ეპიზოდში ვერ ვხედავთ, ამიტომ უკადრისობის მანკიერება როსტევანს უნდა მოვკითხოთ და არა გულმდღუარე რაინდს, რომელსაც უმაღლესი [/მეფური] წარმომავლობა, სხვა თუ არაფერი, აღკაზმულობით მაინც ეტყობა. რაც შეეხება არაბი მმართველის „გაავცნობებით“ გამოწვეულ ქცევებს, როსტევანისა და სახლთუხუცესი ვაზირის ეპიზოდში ისეთი სიცხადით ეცნობა მკითხველი, რომ ყველაფერი გასაგებია. ზედაპირზეა არაბთა მეფის ბუნების ის ბნელი მხარე, რომელიც საჭიროების ჟამს დამინებული მტაცებელივით იწყებს გამოფხიზლებას.

პოემის ამ პასაჟში ეჭვს ტარიელის „კვალ-წმიდად წარხდომაც“ იწვევს – „ჰგვანდა ქვესკნელს ჩამრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა“ (27, 96). შესაძლებელია, ტყეს შეფარებული („ტყესა შიგან დავიმაღე“ 55, 268) უცხო მოყმე¹ ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ მოქმედებდა გაფიცებული როსტევანი. საკუთარ სასახლეში დაბრუნებული „სევდიანი, დაღრეჯილი“ მონარქი ქალიშვილთან საუბარში ხომ არ მალავს იმას, რომ მას სიბრაზემ სძლია, მტირალ ყმას წაეკიდა („გავგულისდი, წავეკიდე“) და ლაშქარს შესაპყრობლად მოუწოდა („შესაპყრობლად შევუხახენ“), თუმცა, ვფიქრობთ, რომ მაინც მოხდენილად გამოსდის თავის მოსაწყლება ერთადერთ ასულთან, რომელსაც „მამის სიცოცხლეს“ უწოდებს („მოახსენე: „რად დაჰბრუნდი შენ მამისა სიცოცხლეო?“ 28, 104). როსტევანი კიდევ უფრო შორს მიდის... სარიდანის ვაჟის მისი თვალსაწიერიდან გაქრობას ეშმაკისას ადარებს, თუმცა ხვდება, რომ ამ გადაკარგვის მიზეზი მხოლოდ თვითონაა. კონტექსტში – „ვითა ეშმა დამეკარგა“ (29, 109) – ზმნა მხოლოდით რიცხვშია დასმული და არა – მრავლობითში, გადაკარგვის სამიზნედ სხვანიც, მათ შორის ავთანდილიც, რომ გვეგულისხმა. არაბმა ხელისუფალმა კარგად იცის, ტარიელმა მას რომ აარიდა თავი. და კიდევ... „უცხო სანახავ“ რაინდს „მოწყალე“ და „განგებიანი“ მეფე ღვთის რისხვად ნათლავს, ზეცით მოვლენილ მტერს უწოდებს – „ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (30, 117) – და რატომ? არაბეთს შეუქმნა პრობლემა თუ რაშია საქმე? იქნებ საკუთარი სადარდებლის გაუზიარებლობა მტრობად უნდა აღვიქვათ, თანაც ზეციდან გარდამოჭრილ უბედურებად? აქ მისი გაცნობისა თუ კაცური გადაკოცნის სურვილები ვერ გამოდგება იმის საპირწონედ,

¹ შდრ. ავთანდილი ხიდან როგორ უცქერს გამოქვაბულის წინ მიმდინარე მოვლენებს.

როსტევეანის მხრიდან გულმდუღარე რაინდის შეპყრობის დაჟინებული ნდომა რომ გავამართლოთ, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა ის ამ მოქმედების შესასრულებლად საკუთარ ლაშქარს მეფის „ნებიერი“ უფლებებიდან გამომდინარე გამოიყენებს.

ერთი სიტყვით, ნიშანდობლივი გვეჩვენება, ორი სხვადასხვა ქვეყნის მეფე ტარიელის გამო ასე ძლიერად რომ ბოხოქრობს. ერთიცა და მეორეც დაგეშილი ეძიებს შეჭირვებულ ყმას, მღევარს ადევნებს. ძალზე საეჭვოა, როსტევეანს მისი დახმარების სურვილი ამოდრავებდეს, ფარსადანზე ამისი წარმოდგენა კი, პოემის სიუჟეტური ქარგიდან გამომდინარე, აზრობრივი ნონსენსი იქნება.

ზემოთ ტარიელის მიერ დაშვებულ პოლიტიკურ შეცდომაზე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება. გარემოებათა გამო ის ისეთ ჩიხშია შეყვანილი, დანამდვილებით არც კი ვიცით, როგორი გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს, ამიტომ ისევ რუსთველს დავაკვირდეთ, რა მიმართულებით წაგვიყვანს. ამირბარის სახელოს მიღებას გამიჯნურება მოსდევს და შავმერნიანი რაინდი ახალ დრო-სივრცეში გადადის, მიწიერ ნიადაგს სწყდება. ქრისტეს მოციქულთა სწავლების ერთ-ერთი საკვანძო თეზისი – „სიყვარული აღგვამაღლებს“ – ტარიელს ყოფიერებისაგან ძარცვავს, რადგან საღვთო მიჯნურობის ბაძვა და რაციონალიზმი არათავსებადი ცნებებია. რუსთველის მხატვრული კონცეფცია ახლა ამ შრეშია განსახილველი. წარსული აღარ ჩანს, ტარიელის ცხოვრების ეტაპიც იცვლება და მსოფლგანცდაც. ფარსადანის მხრიდან ამირბარ-ამირსპასალარობის თანამდებობის შეჩერება თითქოს საღდაც გაქრა, მისი კვალი მოისპო. სიყვარულის ქარბორბალამ მეხსიერებიდან წაუშალა ძალზე მნიშვნელოვანი რამ, არადა როგორ სჭირდება ახლა ინდოელ უფლისწულს წარსულის ხსოვნაცა და კრიტიკული თუ საფუძველშემადგერებული იკვნეულობაც. ტარიელი გულსა და ცნობიერებაში ერთნაირადაა დაჭრილი („ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“: 69, 337). ასპარეზზე ეროსი გამოვიდა, ამიტომ ღვთაების მშვილდიდან ნასროლმა ოქროს ისარ-ლახვარმა დასცა და დააბნია, მხრისა და მკლავის ძალა წაართვა („დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა“: 69, 341). ტარიელი თითქოს ბავშვობისდროინდელ ჟამს დაუბრუნდა, ცნობიერება გაუბუნდოვანდა. მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიხვდა, რომ გამიჯნურებულია:

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკვდარი,

მერმე ცნობა მომივიდა, მიხვდი რასმე მიუმხვდარი“ (70, 346).

ადამიანში ძალთა კონცენტრირება მახვილ გონებას შეუძლია მხოლოდ და არა – გულის სიფაქიზეს. იმის ნაცვლად რომ დაშვებული შეცდომის მსწრაფლ გამოსწორებაზე იფიქროს, იმაზე დარდობს, მიჯნურობა რომ არ შეატყონ („აქა ყოფნა გამამჟღავნებს, სახლსა ჩემსა მიმაწვინე“: 70, 347). ნათელია, რომ ტარიელი გულითა და სათნოებით მიემართება ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე, გონს არ იშველიებს იმიტომ, რომ იმ „ერთ“ მიჯნურობასთან საზიარებლად ჭკუა-გონება გამოუსადეგარი საპალნეა („მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“: 12, 21), მძიმე ტვირთით რომ აბამს ადამიანს ხმელ და უნაყოფო მიწასთან. არისტოტელე წერს: „როგორც მიზანს, ისე იმ საშუალებებს, რითაც ეს მიზანი ხორციელდება, სხვა ვერავინ ვერ შექმნის და ვერ მოიპოვებს, თუ არა სათნო ადამიანი... სათნოებაზე უკეთესი სხვა რამ არ არსებობს, პირიქით, ყოველი სხვა მისთვის არსებობს“ (არისტოტელე, 1994: 29). სათნოება საღვთო მადლია, ტრანცენდენტული იდეა, რომელიც გამოცდილ ცნობიერებასაც კი არ იკარებს ახლომახლოს. ის სულის მდგომარეობაა. ტარიელი სათნოებით იმართება და ლოგიკურია, რომ ბევრს ვერაფერს ხედავს. გამიჯნურების ამბავს, ასმათისა და წერილების მიმოსვლას ინდო-ხატაელთა ომი

მოსდევს. მას ჰგონია, რომ საშველი იპოვა, ფონი მოიძებნა, რადგან ნესტანსაც უყვარს და რაინდის მეფე-ქმრობა მაინც იქნება გარდაუვალი, მაგრამ „იუდა ჟამს ეძიებდა“ [ნ. ბარათაშვილი]. სამეფო თათბირზე „შვილობილის“ საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილება თუ „მშობლის“ ღალატი გაცხადებულ სახეს იღებს და ტარიელს იმ დრო-სივრცეში აბრუნებს, როცა ფარსადანს პირველად მიუხვდა ვერაგულ ფანდს, ეურჩა, რომ ამირბარობა არ მიეღო („ურჩ ვექმენ“). ინდოელმა უფლისწულმა დროშიც წააგო და გულით ხედვაშიც, მძლეველი სამეფო ტახტზე გამაგრდა. ხვარაზმელი სასიძოს მოწვევის თათბირი ფარსადანის გეგმის საყოველთაოდ გამჟღავნების სცენა და „არ მოყვარულად, მტერულად“ დატრიალებაა საქმისა, ვიდრე არაერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ამოფარებული საკუთარი ძალაუფლებით დემონსტრირებს ტარიელის წინაშე. სულხან-საბას ერთი შეგონება გვახსენდება: „ვითა მტერთა წესია: რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტერობასა“. მტერმა გზა გაიკვლია. ფარსადანი რაინდს მორიგი შეცდომისაკენ უბიძგებს. შეყვარებული ქალ-ვაჟი სასიძოს კლავს და უფლისწულის დევნაც იწყება.

ახალგაზრდული გამოუცდელობა თუ სათნო, სიყვარულით გადავსებული სულიერება – აშკარად ეს ორი რამ ეღობება ტარიელს სამეფო ტახტის დაკავების გზაზე. ისე რომ ვთქვათ, ამ მონაპოვრისთვის მაინცადამაინც არც კი იბრძვის. ბოლომდე ვერც გაიგებს კაცი, თათბირზე რამ უფრო შეაშფოთა ის, ნესტანის მოსალოდნელმა გადაკარგვამ თუ სამეფო ტახტიდან ჩამოშორების გეგმამ, ან იქნებ ორივემ ერთდროულად. ტარიელ-დემნას მომხრეობა თუ მისი სიყვარული ყრუ კედელი არ არის, რომ მართლჭვრეტა დაუზიანოს რუსთველს, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ის განვითარებულ მოვლენათა შედეგიდან აფასებს წინარე ვითარებას (1178 წლის აჯანყებაც მომხდარია და აღარც დემნაა ცოცხალი). ვეფხისტყაოსნიანი რაინდი იმდენად უყვარს, რომ ფაქტობრივ „ავიწყდება“ თინათინის გამეფებით რომ გახსნა პოემა. ქართულ მეცნიერებაში ათინად გააზრებული (გამსახურდია, 1991) თამარ-თინათინი თავისი სიფერძნობით, ჩვენი აზრით, ძალიან წააგავს იმ პერსონაჟებს, რომელნიც ავთანდილობისათვის მხოლოდ ფონს ქმნიან. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ (15, 39) – ნესტანს უფრო შეესატყვისება და არა არაბი მეფე-ქალის სახეს, სათქმელის სხვადასხვა ამბავში გადათამაშება კი რუსთველის ჩოგნის ხელმარჯვეობაა, მისი მხატვრული მანევრი („ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“: 11, 14). პოეტის საბრძოლო ხელოვნება წუნდაუდებელია. ფრონტი ყველა ამბავშია გაშლილი, რუსთველი კი ფლანგებით მანევრირებს.

„და დემეტრე კლდე-კართა დასუეს, უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“- იტყვის XIII საუკუნის უცნობი მემკვიდრე [ლაშა გიორგის მატიაწე 1955: 367]. გიორგი III სამეფო ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრეს აჯანყების გამო ენით უთქმელი სისასტიკით უსწორდება, დასაჭურისების სასჯელით საფუძველშივე კლავს დავით IV აღმაშენებლის პირდაპირი დინასტიური ხაზის მამაკაცურ მოდგმას. საკუთარი ძმის, დავით V-ის, მკვლელობა თუ ამ მკვლელობის დაგეგმვა ორბელებთან ერთად მას ხომ ისედაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია („ზოგი ამბობს, რომ [ის მოკლულ იქნა] სუმბატ და ივანე ორბელების მზაკვრობის შედეგად... ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად“ (ვარდანი, 2002: 145)). სავარაუდოდ, ახალგაზრდა დემეტრეს კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ამ აჯანყების გამო თვალების დათხრის სასჯელს თავს ვერ აარიდებდა. ალბათ, სწორედ ამის გამო ითხოვდა საკუთარი ბიძისგან მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას, მაგრამ განაჩენი შეუბრალებელი იყო – „ნუ იყოფინ,– თქვა, სამკვიდრებელი მისი“ (ორბელიანი, 1978: A, 51).

ტარიელის სატანჯველსა და დემნა უფლისწულის თავს რეალურად დატრიალებულ ტრაგედიას შორის ტოლობა შეინიშნება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასმათის შეფასებაც – „ჯეროთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია“ (165, 840). შესაძლებელია, ასმათის სიტყვებში ტარიელის მხოლოდ მიჯნურობით გამოწვეული სატანჯველი იმ უმძიმეს „სასჯელად“ გაგვეაზრებინა, რომელსაც პოემაში ვკითხულობთ, მაგრამ საქმე ასე არ უნდა იყოს. თუ რამდენად მიემართება „ქვათაცა შესაძრწენი“ განაჩენი მხოლოდ სიყვარულითა და მიჯნურის ძიებით გამოწვეულ ტანჯვას, როცა საქმე რუსთველურ დიდოსტატობასა და ენიგმურ ქარგასთან გვაქვს, სულ მცირე მეტ დაფიქრებას მოითხოვს. ნიმუშად მოყვანილ სტრიქონში ყურადღებამისაქცევია თავად სიტყვა „სასჯელიც“ (იხ. ჯავახიშვილი, 1984), რომელიც ძველი ქართული სამართლის ტერმინია და მისი ამ კონტექსტში გამოყენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასე რომ, ყმა-ქალის შეფასება ძალაუვნებრივ გვახსენებს XII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს სამეფო ტახტისათვის ბრძოლის დაუნდობლობას, დადენილ სისხლის ღვარებს, დემნა უფლისწულის უმძიმეს თავადადასავალსა თუ იმ „სასჯელს“, რომელიც მას საკუთარმა ბიძამ, გიორგი III-მ, გამოუტანა. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარი ლოგიკით მიედინება რუსთველის მსოფლმხედველობრივი აზრი და სწორედ ამიტომ, რომ ინდოეთისა და არაბეთის მეფეთა მხატვრულ სახეებში პარალელური მინიშნებანი იკითხება.

ლიტერატურა:

- აბულაძე, იუ., (1967): რუსთველოლოგიური ნაშრომები. ი. მეგრელიძის გამოცემა. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- არისტოტელე, (1994): დიდი ეთიკა. თ. კუკავას გამოცემა. რეცენზენტი აკ. ურუშაძე. თბილისი: გამომცემლობის მითითების გარეშე.
- გამსახურდია, ზ., (1991): ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ვარდანი, (2002): ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია [სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ]. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები. XXXIX. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
- ვეფხისტყაოსანი, (1966): შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ [მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი]. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ინგოროყვა, პ., (1963): რუსთველიანა. თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. I. 7- 254. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
- ლაშა გიორგის მემატიაწე, (1955): ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიაწე. „ქართლის ცხოვრება“ [ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ]. I. 364-371. თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.
- ჯავახიშვილი, ივ. (1984): ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი 12 ტომად. VII. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Several parallels in the discourse of the images of Kings in “The Knight in the Panther's Skin”

Abstract

The perspectives expressed in Georgian scientific literature regarding Tariel's resemblance to Shota [P. Ingorokva] or the view that it reflects the cult of St. George [Z. Gamsakhurdia] seem less convincing to us. This is because the Indian Prince is portrayed as a weeping lad and it appears that in the 12th century, there was a real basis for his lamentation and "flow of tears." We believe that it is precisely these real-life hints that explain the fiction events and symbolic-enigmatic interpretations developed in the poem.

The story of India as a whole is revealed through Tariel's narrative. It seems that the Prince's magnanimity is the reason for his naïve trust in his adoptive parents, never once doubting their flattery. Against this backdrop, the first revealed step of Parsad's hypocrisy emerges—his order for Tariel to abandon his black garments and appoint the royal prince, raised for the throne, as an Amirbari. With such "foresight," the Indian King gains the upper hand, as the scale of power between a future monarch and an amirbari is vastly different! Tariel laments the violation of certain rules by Parsad. Of course, foremost among these is the breach of the feudal law of inheritance, creating an insurmountable barrier for the foreign knight in the struggle for the royal throne. This context draws a direct parallel with the tragedy that befell Prince Demetre (Demna). Ultimately, Giorgi III rendered a verdict of unspeakable cruelty upon his nephew and the pretender to the throne of Georgia by ordering his castration.

From the perspective of royal figures, the stories of India and Arabia contain numerous passages that intersect the main trajectories of these narratives. One such instance appears in the Arabian storyline, as Avtandil's disappearance. Rostevan's "tearful" mourning over the Spaspet's (Commander-in-Chief) second departure may have a possible explanation. However, we believe that even with an empirical understanding of the passage, Rostevan's order to declare mourning across the country due to Avtandil's departure from Arabia remains puzzling.

A parallel also emerges in terms of the "art of disappearance." The poem reveals that Tariel does not wish to meet with the monarch of Arabia and leaves the region without a trace. Similarly, in the Arabian story, the gold-belted Arabian commander sets out in search of the foreign knight, yet the elusive Avtandil astonishingly vanishes. Despite the pursuing army's efforts, they fail to find him.

The image of rulers is often a mirage crafted for the masses, whereas in the struggle for power, they have always excelled at neutralizing or completely eradicating rivals. This foundation likely underpins Tariel's reluctance to meet Rostevan face-to-face. The foreign knight is well aware of the nature and behaviors of kings. Returning to the cave, he explicitly tells Nestan's servant, "A hunting king tried to pursue me" [55, 267]. The Arabian ruler is fully aware that Tariel avoided him. And more so, the "merciful" King names the "foreign knight" as the wrath of God, calling him a divinely sent enemy. Why? Perhaps failing to share one's troubles with the King is perceived as enmity, even as a calamity descending from heaven. In this context, the desire to meet or exchange brotherly greetings pales in comparison to Rostevan's fervent determination to capture the grieving knight.

In short, it is noteworthy that rulers from two different countries pursue the foreign knight so relentlessly. Both ardently search for the distressed knight, sending pursuers after him. It is

doubtful that Rostevan is motivated by a desire to help him and imagining such intentions from Parsad would be sheer nonsense. Rustaveli's artistry lies in replaying elements of the story across different narratives, showcasing his literary dexterity. The foundation of the fiction portrayal of kings likely rests on the realistic figure of Giorgi III, while Rustaveli maneuvers through flanks, expanding his narrative front across the tales of India and Arabia.

Key words: “The Knight in the Panther's Skin, Kings